საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5951
25/07/2022

5951-09-2-202207251726

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ასლი: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის
დეპარტამენტის უფროსს ნანა ჩინჩილაკაშვილს

ბატონო ვახტანგ,
მიმდინარე წლის 14 ივლისის N18929 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინიცირებულია „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გადავადებას 2025 წლის 1 ივნისამდე. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა წარმოადგენს მაღალი დონის სტანდარტს, რომლის დანერგვა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, ინფრასტრუქტურულ, პრაქტიკულ და ფინანსურ პრობლემებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ბიზნესოპერატორებს კიდევ მიეცეთ ვადა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვისათვის.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge